

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო
და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 14

N 31
14/01/2016

31-09-3-201601141346



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
ადმინისტრაციული სამსახურის უფროსს
ქალბატონ მაგული კუნჭულიას
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის
საფინანსო საბიუჯეტო და მუნიციპალური
შესყიდვების სამსახურის

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

მიმდინარე წლის 13 იანვარს დაგეწერა გამგეობის ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის წერილი, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელი სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების აღმოსაფხვრელად და გათვალისწინებული იქნას გამგეობის სხვა საქონელი და მომსახურების მუხლის 20000 ლარით გაზრდა.

გთხოვთ, უზრუნველყოთ დოკუმენტაციის გადაგზავნა საკრებულოში.

პატივისცემით,

თამაზ იმედაიშვილი

სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახური

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

2016 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი-ს 106¹-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

მუხლი 2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი და ცნობა (თან ერთვის) ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 106²-ე მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად;

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-8 თავის 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად;

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე

ცნობა

**„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების
მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი აღნიშნავს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად.

დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებები შეუძლიათ წარმოადგინონ 2016 წლის --- იანვრამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში მისამართზე: ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის მე-2 სართული (პასუხისმგებელი პირი ნინო ძიძიგური – საკრებულოს აპარატის უფროსი, ტელ: 0494 22-30-09).



საქართველო
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის
გამგეობა



2800

ლანჩხუთი მ. კოსტავას ქ. №37

ტელ: 0 494 22 30 10

N 117
15/01/2016

117-09-2-201601151500



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,

გეგზავნებათ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ მომზადებული განმარტებითი ბარათი.

გთხოვთ განიხილოთ.

პატივისცემით,

ზაზა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი

ხელმძღვანელობა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2016 წლის იანვარი

ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 დეკემბრის N47 დადგენილებაში (ვებგვერდი 05.01.2016) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

1. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები I თავის შესაბამისად, კერძოდ:

- ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსი 1-ლი მუხლის თანახმად;
- ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება მე-2 მუხლის თანახმად.
- გ) განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლები მე-3 მუხლის თანახმად;
- დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გადასახადები მე-4 მუხლის თანახმად;
- ე) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის გრანტები მე-5 მუხლის თანახმად;
- ვ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები მე-6 მუხლის თანახმად;
- ზ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯები მე-7 მუხლის თანახმად;
- თ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება მე-8 მუხლის თანახმად;
- ი) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია მე-9 მუხლის თანახმად;
- კ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი მე-10 მუხლის თანახმად;

ლ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მე-11 მუხლის თანახმად;

მ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა მე-12 მუხლის თანახმად;

2. განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები II თავის შესაბამისად, კერძოდ:

ა) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები მე-13 მუხლის თანახმად;

ბ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები მე-14 მუხლის თანახმად.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული
სამსახური

2800

ქ. ლანჩხუთი კოსტავას ქ. N37

N 30
14/01/2016

30-09-3-201601141310



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული
სამსახურის დასკვნა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ განხილულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის მოხსენებითი ბარათი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 53-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ა.“ ქვეპუნქტის თანახმად, გამგებელი შეიმუშავებს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარუდგენს თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტს, საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად. ამავე კანონის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული წესით თვითმმართველი ერთეულის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილების შეტანა.

ყოველივე ზემოხსენებულიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხზე იურიდიულ სამსახურს სამართლებრივი ხასიათის შენიშვნა არ გააჩნია.

შოთა ჩაგუნავა

სამსახურის უფროსი

იურიდიული სამსახური